OPTICAL SYSTEMS Inc.

Tbilisi Sea Plaza, Building 3, Unit 2, Room 102
E-mail: opticalsystemsinc@gmail.com
E-mail: Giorgi.Narimanidze.1@iliauni.edu.ge
Tel. : (+995) 591 07 59 19

№23
17 ივნისი 2019 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბ-ნ ლევან დავითაშვილს

შპს „ოპტიკალ სისტემს ინკი"-ის
დირექტორის ლინა მას

განცხადება

ბატონო ლევან,

თქვენი 2019 წლის 28 მარტის №3235/01 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ განმეორებით წარმოდგენილ დაზუსტებულ ანგარიშში გათვალისწინებულია ყველა შენიშვნა და იგი სრულად მოიცავს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

კერძოდ:

- ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტო სოფ. აცის მიმდებარე ტერიტორიაზე საწარმოოს განთავსების წინააღმდეგი არ არის. აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გამოთხოვნის პრეროგატივა გააჩნია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.
- ანგარიშში დაზუსტებულია საწარმოს ტერიტორიაზე მოქმედი სალექარების პარამეტრები და საქმიანობის განხორციელების ალტერნატივები.
- „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილებაში მითითებულია კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევა, რაც მოქმედებს მოცემულ სიტუაციაში ვინაიდან ტერიტორია წარმოადგენს ლიცენზიით განსაზღვრულ სამთო მინაკუთვნს, რომელზედაც ფირმას გააჩნია სამუშაოების წარმოების უფლება. რაც შეეხება სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრიდან დაშორების მანძილს, ჩვენთვის აღნიშნული ნორმა უცნობია და გთხოვთ ეს შენიშვნა დაგვიკონკრეტოთ.

გთხოვთ განაახლოთ ადმინისტრაციული საქმის წარმოება წარმოდგენილ ანგარიშზე.

დანართი: სკოპინგის ანგარიში 16 გვერდზე და CD დისკი.

№8820
"18" 06 2019
1 ფ.

პატივისცემით,

შპს „ოპტიკალ სისტემს ინკი"-ის დირექტორი ლინა მა

OPTICAL SYSTEMS,INC